პრეზიდენტ დიტერ ფ. უხთდორფის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
მეორე მრჩეველი

მოწათვის ცხოვრება

ოცდაათი წლის წინ განაში კოლეჯის ახალგაზრდა სტუდენტი, დოუ, პირველად შევიდა უდწ სამლოცველოში. დოუ დაქალმა მოიპატიჟა და მას ძალიან აინტერესებდა, რას წარმოადგენდა ეკლესია.

იქ მყოფი ადამიანები ძალიან კეთილნი და მეგობრულნი იყვნენ, ასე რომ გოგონას არ ასვენებდა აზრი, რა ეკლესია იყო ეს.

დოუზე ეკლესიამ ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მან გადაწყიტა, მეტი შეეტყო ეკლესიისა და მისი წევრების შესახებ, რომლებიც სიხარულით აღვსილი ადამიანები იყვნენ. მაგრამ, როგორც კი იგი ამ საქმეს შეუდგა, მას ოჯახი და მეგობრები დაუპირისპირდნენ. ისინი ეკლესიაზე საშინელებებს ყვებოდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ გადაეფიქრებინა.

მაგრამ დოუმ დამოწმება მიიღო,

მას ჰქონდა რწმენა და უყვარდა სახარება, რომელიც მას ცხოვრებას სიხარულით უვსებდა. ასე რომ, იგი ნათლობის წყალში შევიდა.

რის შემდეგადაც იგი ლოცვაში და სწავლაში ჩაეფლო. იგი მარხულობდა და სულიწმინდის გავლენას ეძებდა ცხოვრებაში. ამის შედეგად, დოუს დამოწმება და რწმენა უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ღრმავდებოდა. საბოლოო ჯამში მან უფლისთვის სრული დროის მისიაში მსახურება გადაწყვიტა.

მისიიდან დაბრუნების შემდეგ მან გაიცნო და ცოლად გაჰყვა დაბრუნებულ მისიონერს, იმას, რომელმაც წლების წინ მონათლა იგი და მოგვიანებით ისინი სამხრეთ აფრიკის იოჰანესბურგის ტაძარში ჩაიბეჭდნენ.

მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დოუ კაკუმ პირველად იგრძნო იესო ქრისტეს სახარების სიხარული. ამ დროის განმავლობაში ცხოვრება ყოველთვის არ სწყალობდა მას. მას გულგატეხილობისა და სასოწარკვეთილების ულუფა ერგო, ორი შვილის გარდაცვალების ჩათვლით და ეს გლოვა ჯერ კიდევ მძიმე ტვირთად ადევს მას გულზე.

მაგრამ ის და მისი მეუღლე, ანტონი, ცდილობდნენ ერთმანეთთან და საყვარელ მამაზეციერთან დაახლოვებას, რომელიც მათ მთელი გულით უყვართ.

ამჟამად, ნათლობიდან 30 წლის შემდეგ, და კაკუმ ეს-ეს არის დაასრულა მეორე სრული დროის მისია, ამჯერად მეუღლის გვერდში, რომელიც ნიგერიაში მისიის პრეზიდენტად მსახურობდა.

ისინი, ვინც იცნობენ და კაკუს, ამბობენ, რომ განსაკუთრებული ადამიანია. იგი ანათებს. შეუძლებელია, მასთან დრო გაატარო და უფრო ბედნიერად არ იგრძნო თავი.

მისი დამოწმება ურყევია: „მე ვიცი, რომ მხსნელი მიყურებს, როგორც საკუთარ შვილს და მეგობარს (იხ. მოსია 5:7; ეთერი 3:14)“, – ამბობს იგი.

„და მეც ვსწავლობ და ძალიან ვცდილობ, ვიყო მისი მეგობარი, არა მხოლოდ სიტყვით, არამედ ქმედებებითაც“.

ჩვენ მისი მოწაფენი ვართ

და კაკუს ისტორია მრავალ სხვა ისტორიას ჰგავს. მას ჰქონდა სურვილი, შეეტყო ჭეშმარიტება. მან სულიერი სინათლის მისაღებად საფასური გადაიხადა. მან გამოამჟღავნა სიყვარული ღმერთისა და მოყვასის მიმართ და ამავდროულად იგი სირთულეებსა და მწუხარებას ებრძოდა.

წინააღმდეგობისა და მწუხარების მიუხედავად, იგი მაინც წინ მიიწევდა რწმენით. და რაც მთავარია, სიხარულს ინარჩუნებდა. მან მოძებნა ხერხი, რომლითაც არა მხოლოდ ცხოვრების სირთულეებს უძლებდა, არამედ მიუხედავად ამისა წარმატებას აღწევდა!

მისი ამბავი თქვენსა და ჩემს ამბავს ჰგავს.

იშვიათად არის ჩვენი მოგზაურობა ადვილი და გამოცდების გარეშე.

ყველას გვაქვს გულის ტკივილი, გულგატეხილობა და მწუხარება.

ზოგჯერ შეიძლება გადაღლიალობა და გულგატეხილობა ვიგრძნოთ.

მაგრამ ისინი, ვინც მოწაფის ცხოვრებით ცხოვრობენ, რომლებიც ერთგულნი რჩებიან და რწმენით წინ მიიწევენ, ვისაც სწამთ ღმერთი და იცავენ მის მცნებებს,[1] ვინც ყოველ საათსა და დღეს სახარებით ცხოვრობენ, ვინც მათ ირგვლივ მყოფთათვის ქრისტესმაგვარ მსახურებას უწევენ, თითო კეთილი საქმით, ესენი არიან, ვისი მცირე ქმედებები დიდ ცვლილებებს ახდენენ.

ისინი, ვინც ცოტა მეტად კეთილნი არიან, ცოტათი მეტად მიმტევებელნი და უფრო მოწყალენი, არიან ისინი, ვინც მოწყალებას მიიღებენ.[2] ისინი, ვინც თითო კეთილი საქმით სამყაროს აუმჯობესებენ და რომლებიც ცდილობენ, იცხოვრონ იესო ქრისტეს მოწაფის დალოცვილი, კმაყოფილების მომტანი, მშვიდობიანი ცხოვრებით, არინი ისინი, ვინც საბოლოო ჯამში იპოვიან სიხარულს.

მათ ეცოდინებათ, რომ „ღმერთის სიყვარული, რომელიც კაცთა ძეთა გულებზე გადმოდის . . . ყველაზე სანატრელი რამ არის . . . და სულისთვის ყველაზე სასიხარულო“.[3]

შენიშვნები
1. იხ. მოსია 4:6.
2. იხ. მათე 5:7.
3. 1 ნეფი 11:22-23.

ამ გზავნილის სწავლება

პრეზიდენტი უხტდორფი გვასწავლის, რომ მოწაფეობის გზა რთულია, მაგრამ ისინი, ვინც ცხოვრობენ „იესო ქრისტეს მშვიდობიანი ცხოვრებით, არიან ისინი, ვინც საბოლოო ჯამში იპოვიან სიხარულს“. ზუსტად ისე, როგორც პრეზიდენტი უხტდორფი ყვება დოუს ისტორიას, რათა გვაჩვენოს, როგორ შეუძლია ქრისტეს ჭეშმარიტ მოწაფეს, ცხოვრებისეული გამოწვევების მიუხედავად, სიმშვიდისა და სიხარულის პოვნა, თქვენც შეგიძლიათ გაუზიაროთ მათ ისტორია საკუთარი ცხოვრებიდან, თუ როგორ გააკეთეთ არჩევანი, მიჰყევით ქრისტეს და როგორ გაგაძლიერათ მან. პირადი ისტორიების გაზიარებისას, როცა სულიწმინდა გიბიძგებთ ამისკენ, თქვენ შეგიძლიათ გააძლიეროთ ისინი, ვისაც ასწავლით.

ახალგაზრდები

იესო ქრისტეს მოწაფის სიხარული

ოდესმე გქონიათ წარუმატებელი დღე? რა გააკეთეთ იმისთვის, რომ გამხიარულდეთ? პრეზიდენტმა უხტდორფმა იცის, რომ „ყველას გვაქვს გულის ტკივილი, გულგატეხილობა და მწუხარება. ზოგჯერ შეიძლება გადაღლიალობა და გულგატეხილობა ვიგრძნოთ.

მისი აზრით გამოსავალია ვიცხოვროთ ისე, რასაც იგი უწოდებს „მოწაფის ცხოვრებას“: „დავრჩეთ ერთგულნი და გავაგრძელოთ წინსვლა რწმენით“. როცა წინ მივიწევთ რწმენით, ჩვენ შეგვიძლია ვენდოთ ღმერთს, დავიცვათ მისი მცნებები და ვემსახუროთ სხვებს, თანაც ყოველივე ამის დროს ვიგრძნოთ სიხარული! როგორც პრეზიდენტმა უხტდორფმა თქვა: „ისინი, ვინც ცხოვრობენ მოწაფის ცხოვრებით . . . არიან ისინი, ვინც პატარა ქმედებებით ხშირად ახდენენ დიდ სხვაობას“.

შეადგინეთ სია, სადაც ჩამოწერთ მოწაფეობის ცხოვრებით ცხოვრების სხვადასხვა ხერხს. მაგალითად, შეგიძლიათ ჩაიწეროთ მსახურების იდეა, როგორიცაა „დავეხმარო მშობელს სადილის კეთებაში“ ან მცნებების დაცვის იდეა, როგორიცაა „ვილოცო

დედმამიშვილების მიმართ მეტი მოთმინებისთვის“. შემდეგში, როცა იგრძნობთ გადაღლილობას ან გულგატეხილობას, ამოიღეთ სია, აირჩიეთ იდეა და სცადეთ იგი!

ბავშვები

ბედნიერებისა და სევდიანობის დრო

ერის დღეები, რომლებსაც დავარქმევდი ბედნიერებას მოკლებულ მომენტებს. და ეს არაფერია. იესოს შეუძლია დაგეხმაროთ ამ დროს.

დახატეთ სახე შეკრული შუბლით. როგორ შეუძლია იესოს დაგეხმაროთ, როცა მოწყენილი ხართ? ახლა დახატეთ სახე ღიმილით. როგორ შეუძლია იესოს დაგეხმაროთ, იგრძნოთ ბედნიერება?

© 2017 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი *First Presidency Message, July 2017.* ქართული Georgian. 97928 131

მიძღვნილი ცხოვრებით ცხოვრება

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ მოამზადებს მოწყალების საზოგადოების მიზნის გააზრება ღვთის ასულთ, მარადიული ცხოვრების დალოცვებისთვის?

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

„მიუძღვნა ნიშნავს ხელი დაასხა ან გადასცე რაღაც, წმინდა მიზნისთვის“, – თქვა უხუცესმა დ. ტოდ კრისტოფერსონმა თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან. „ჭეშმარიტი წარმატება ამ ცხოვრებაში მიიღწევა ჩვენი ცხოვრების მიძღვნით, კერძოდ კი დროისა და არჩევანის მიძღვნით ღმერთის მიზნებისთვის“.[1]

უხუცესმა ნილ ა. მაქსველმა (1926-2004) თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან თქვა: „ჩვენ მიგვაჩნია ფიქრი მიძღვნაზე როგორც მატერიალური ქონების დათმობაზე, როცა ამას ზეციდან მიგვითითებენ. მაგრამ საბოლოო მიძღვნა ნიშნავს საკუთარი თავის დათმობას ღმერთისთვის“.[2]

როცა საკუთარ თავს მივუძღვნით ღმერთის მიზნებს, ჩვენი რწმენა იესო ქრისტეში და მის გამოსყიდვაში გაიზრდება. როცა მიძღვნითი ცხოვრებით ვცხოვრობთ, შეგვიძლია წმინდანებად ვიქცეთ ჩვენი ქმედებების გამო.

კეროლ მ. სტეპენსმა, მოწყალების საზოგადოების პირველი მრჩეველმა, თქვა: „უხუცესმა რობერტ დ. ჰეილსმა გვასწავლა, რომ როცა ვდებთ და ვიცავთ აღთქმას, ჩვენ ამით ვშორდებით ამასოფელს და შევდივართ ღვთის სასუფეველში.

„ჩვენ ვიცვლებით. ჩვენ სხვანაირად გამოვიყურებით და სხვანაირად ვმოქმედებთ. იცვლება ის, რასაც ვუსმენთ, ვკითხულობთ და ვამბობთ, რასაც ვიცვამთ, რადგან ვხდებით ღმერთის ასულნი, რომლებიც მასთან აღთქმით ვართ დაკავშირებულნი“.[3]

მიძღვნა არის ის აღთქმა, რომელსაც ღმერთი დაუდებს „ისრაელის სახლს; იმ დღეების შემდეგ, – სიტყვა უფლისა, – მივცემ მათ ჩემს რჯულს და მათ გულებზე დავწერ ამას, და მე ვეყოლები მათ ღმერთად და ისინი მეყოლებიან მე ერად“ (იერემია 31:33). მიღვნითი ცხოვრებით ცხოვრება ჰარმონიაშია ღმერთის გეგმასთან ჩვენთვის.

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან

1 თესალონიკელთა 1:3; მოძღვრება და აღთმები 105:5

reliefsociety.lds.org

შენიშვნები

1. D. Todd Christofferson, “Reflections on a Consecrated Life,” *Liahona,* Nov. 2010, 16.
2. Neal A. Maxwell, “Consecrate Thy Performance,” *Liahona,* July 2002, 39.
3. Carole M. Stephens, “Wide Awake to Our Duties,” *Liahona,* Nov. 2012, 115–16.

განიხილეთ შემდეგი

როცა ცხოვრებას მივუძღვნით უფალს, როგორ გვეხმარება ეს მასზე დამსგავსებაში?

© 2017 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი *Visiting Teaching Message, August 2017.* Georgian. 97928 131